საპროექტო ობიექტების კვლევა და რეკომენდაცია

შ. დადიანის ქ. №14 და №16



ფასადი შ. დადიანის ქუჩის მხრიდან

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის საადრიცხვო ბარათი № 010406114



1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დადიანი შალვას ქუჩა 14
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული


ძეგლის საადრიცხვო ბარათი

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი


შ. პ ს
„ძველი უბანი“
აპრილი
2019

1. ადგილმდებარეობა

საპროექტო სახლები დგას გვერდიგვერდ თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ქვემო კალაში (კრწანისის მუნიციპალიტეტი), თავისუფლების მოედნის მახლობლად – **შ. დადიანის ქუჩა №14 და №16.** საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია №14 სახლის I სართულის და №16 სახლის I სართულის ფასადის მარცხენა ფლანგის ღიობების მოდიფიცირება და მათ უკან მდებარე ინტერიერის რეკონსტრუქცია ახალ ფუნქციის მოთხოვნიდან გამომდინარე და რემონტი. სახლი აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)



საპროექტო ობიექტი №14 არქიტექტურული ძეგლია.
№16 ფონური ნაგებობაა.
ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – შ. დადიანის ქუჩაზე №№2/1,3,4, 6,7,8,10,12,14,18 . . .
თბილისის საკრებულოს შენობა – თავისუფლების მოედანი №2/2;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2016წ

საპროექტო ტერიტორია და მასზე მდგომი ორთავე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისის უძველეს უბანში მდებარეობს. ეს მიკროუბანი ძველი თბილისის ზემო გალავნის გაყოლებით განვითარდა და კალას სულ ოდნავ დაქანებულ რელიეფზეა შეფენილი. საპროექტო ობიექტები ქუჩაზე მდებარე სხვა ნაგებობებთან ერთად, შემოშენებულია თბილისის ძველი გალავანის ვექტორზე.

დადიანის 350მ. სიგრძის სწორი ქუჩა იწყება თავისუფლების მოედანზე კოტე აფხაზის ქუჩის კუთხესთან, სწორი ვექტორით გადაკვეთს ლერმონტოვის და უერთდება ასათიანის ქუჩას. ამ ქუჩის დღევანდელი სახე შექმნილია XIX-XXსს-ის დასაწყისში. XIX საუკუნემდე აქ ჩამოვლებული იყო გალავანი, რომელიც პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების მიმართულებით მიუყვებოდა ავანაანთხევს. გალავანი ძველ ქალაქს – კალას ფარგლავდა, ავანაანთ ხევის გადაღმა კი იყო თბილისის გარეუბანი და იგი ასევე იწოდებოდა – „გარეთუბანი“. ქუჩის ზემოთ განვითარდა სოლოლაკის განაშენიანება.

დადიანის ქუჩაზე ერთგვაროვანი მწკრივული განაშენიანებაა – ცოკოლის სართულზე შემდგარი ორ-სამსართულიანი სახლები ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული საფასადო მოტივებით. ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს I სართულების ფართო ღიობები, ნალესობით გამოყვანილ სარკმელთა სათაურები, სარტყლები და ლავგარდნები.

2. განაშენიანების განვითარება



საარქივო ფოტო, 1860-იანი წწ.

ამ უძველესი მიკრო უბნის ნაგებობათა უმრავლესობა XIXს-ის მეორე ნახევრის და XXს-ის დასაწყისისაა. XIXს-ის 20-იან წლებამდე აქ გადიოდა ძველი თბილისის ჩრდილოეთი გალავანი. გალავანს იქით კი, ბაღები იყო გაშენებული. აქ გალავნის გასწვრივ კოჯრისკენ მიდიოდა გზა, XIXს-ის დასაწყისში კი, ქუჩა ჩამოყალიბდა და ქუჩის გასწვრივ, XIXს-ის II ნახევარში უკვე მოშლილ გალავანზე მიდგმულ ძველი ბანიან-ერდოიანი სახლების ადგილს იკავებს ორქანობიანი სახლები ხარისხიანი არქიტექტურული ფასადებით. აქ გამავალ ქუჩას დაერქვა ველიამინოვის სახელი, 1930-იან წლებში კი შალვა დადიანის. ეს უბანი ამავე დროს ახლადდაპროექტებული სოლოლაკის მიმდებარე იყო და იგი ერთგვარ გარდამავალ უბნად ყალიბდება – შუა ბაზრის ხელოსნურ-ვრილვაჭრულ და სოლოლაკის ბურჟუაზიულ მოსახლეობას შორის.

XXს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. XXს-ის პირველ მეოთხედში დადიანის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიის სტრუქტურა აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – თავდაპირველ ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი სახლები.

აქ ჩამოყალიბდა მკვრივული განაშენიანება, რომელიც შიდა კვარტალისკენ მიმართული იყო Г-ს და П–ს ფორმის სტრუქტურებით შემოფარგლული ეზოების სისტემებით. ამგვარი სტრუქტურული სისტემები წარმოადგენს ამ უბნის დამახასიათებელ ნიშანს. ეს კარგად ჩანს 1860-იანი წლების ფოტოზე, სადაც გამოსახულია თბილისური ეზოს შემომფარგვლელი ორსართულიანი ფლიგელები.

3. საპროექტო ობიექტი



საპროექტო ობიექტები



საპროექტო ობიექტები

საპროექტო ადგილი ორი სხვადასხვა შენობის I სართულზე მდებარეობს. მას მოცული აქვს №14 მოზრდილი სამსართულიანი სახლის ქუჩისპირა I სართული (ასევე №14ა-ით არის დანომრილი იქვე მარცხნივ მდებარე სამსართულიანი ვიწრო სახლი მოგვიანოდ დაშენებული IV სართულით) და №16 სამსართულიანი სახლის I სართულის მარცხენა ფლანგი ქუჩის მხარეს.

№14 სახლი U-ს მაგვარი გეგმით შემოიზღუდავს №14ა შენობასთან საზიარო შიდა კვარტალურ ეზოს. სამსართულიანი შენობა აგებულია ქართული აგურით შემდეგ გალესილია და დაფრილი ღიანაცრისფრად. I სართულზე მსხვილი რუსტირებაა. ზედა ორი სართულის მსუბუქი რუსტირება კი, დასახსრულია კანელურებიანი თხელი შეწყვილებული პილასტრებით. ცენტრში II სართულზე აქცენტირებულია კორინთულ კაპილეტელებიანი ნახევარსვეტებით. სართულები გამოიყოფა საფეხუროვანი ლავგარდანებით. მოჩარჩოებული სარკმლები სანდრიკებიანია. II და III სართულის ცენტრში შეკიდულია ლითონის თითო ჭვირული აივანი. ფასადი ზემოთ სრულდება საფეხუროვანი ლავგარდანით და კრონშტეინებიანი პარაპეტით. ფასადის მარცხენა ფლანგზე სადარბაზოა ხის ორფრთიანი მოხარატებული კარით. სადარბაზოს სიღრმეში კიბის უჯრედი ზემოთ გახსნილია შემინული ფანრით. კიბეს აუყვება ლითონის დეკორაციული მოაჯირი.



ხედი ეზოდან, სახლი №14

ეზოში შესასვლელი ფარგლებში მოქცეული ღია გალერეა-აივნები ნაწილი კი, შემინული. მოქცეულ სარდაფებში. მოწყობილია გვერდით მდებარე № 14ა სახლის მართკუთხა ტალანიდან. ეზოს სამივე სართულზე ხის შემოფარგლავს, რომელთა ნაწილი ამოშენებულია, ეზოდანვე არის მოწყობილი ჩასასვლელი სახლის ქვეშ



ხედი ეზოდან, სახლი №16

№16 სახლი L-ს მაგვარი გეგმისაა და შემოიზღუდავს შიდა კვარტალალურ ეზოს. №14 სახლთან შედარებით მისი ფასადი მარტივია. ასევე შელესილია და დაფერილია ღიაყვითლად. საფასადო სიბრტყე თხლად არის რუსტირებული. სართულები მარტივი კარნიზებით არის გამოყოფილი ერთმანეთისგან და სარკმლებიც მხატვრული მოჩარჩოების გარეშეა. ზევით სრულდება საფეხუროვანი პარაპეტით. ასეთივე ნახატის ლავგარდანით არის გამოყოფილი პირველი სართული რომლის ცენტრში ეზოში შესასვლელი თაღოვანი ტალანია. აქ მარცხენა ფლანგზე, №14 სახლის მსგავსი მოგვიანებით გაჭრილი ორი მოზრდილი ღიობია. თავდაპირველი ღიობები – საშუალო ზომის ორი სარკმელი დატანილია ეზოში შესასვლელი ტალანის მარჯვნივ, ამ შენობის მარჯვენა ფლანგზე.



საპროექტო ობიექტები



ხედი ქუჩიდან



ხედი ინტერიერიდან

№14 სახლის პირველი სართული გახსნილია ფართე ღიობებით. აქ თავსა და ბოლოში ოვალური მორკალული „ფრონტონებია", რომლებიც მარცხნივ სადარბაზოს, მარჯვნივ კი, განაპირა ღიობის თავზეა გადაყვანილი. მსხვილად რუსტირებული კედლის სიბრტყე ცენტრში გაფორმებულია II სართულის შუაში მდებარე შეწყვილებული ნახევარსვეტების ბაზების ნალესი კრონშტეინებით. ფართო ღიობები აქ I სართულზე თავიდანვე უნდა ყოფილიყო. შემდეგ ფასადის ღიობები რამდენჯერმე არის გადაკეთებული. ამოშენებულია ღიობების ქვედა ნაწილები, გადაკეთებულია ღიობების ალათების სტრუქტურა. უკანასკნელი გადაკეთების დროს ღიობების ქვედა ამოშენებულ ნაწილზე გაკრულია ბაზალტის ვიწრო შვეული ფილები.

№16 სახლზე კი ფართო ღიობები მოგვიანებით არის მოწყობილი. თავდაპირველად აქ ფასადის მარჯვენა ფლანგის მსგავსი სარკმლები უნდა ყოფილიყო. საფასადო კედლები აქ გაცილებით ვიწროა, რაც ნათლად ჩანს გეგმებსა და ინტერიერის ფოტოებზე.

ოთახების ინტერიერი



მოგვიანო დერეფანი ტიხრებით



აბსიდიანი ოთახი



შკანა დარბაზი



საპროექტო ადგილის გეგმა

№14 სახლის I სართულზე ოთახები ორ-ორ რიგად იყო ჩამწკრივებული. მათ შკან კი, ეზოსკენ შემინული და ამოშენებული აივანი. ინტერიერის თავდაპირველი სახე შენარჩუნებული არ არის და რამდენჯერმეა გადაკეთებული და გარემონტებული. ქუჩის მხარეს მოგვიანებით გადაიტიხრა განივი დერეფანი. შკან დიდი დარბაზია კარით სადარბაზოდან, რომლის ერთ გვერდზე სველი წერტილებია. მის მარჯვნივ ვიწრო სათავსოა და აღმოსავლეთიკენ მიმართული აბსიდიანი დარბაზი. გვიანი დერეფნის გაყვანის დროს გაჭრილია ორივე სახლის მზიდი კედლები.

საპროექტო არეალში №16 სახლის I სართულის მხოლოდ მარცხენა ფლანგის ქუჩისპირა ნაწილია მოქცეული. აქაც ოთახები ორ მწკრივად იყო ჩარიგებული და ინტერიერი აქაც რამდენჯერმეა გადაკეთებული და გარემონტებული. განივი დერეფანი აქაც გრძელდება. ქუჩისკენ ორი გრძივი ოთახია, ეზოსკენ კი, ორი განივი მოცულობა, რომლებიც სამხრეთიდან ეზოსკენ იხსნება ღიობებით. ნალესი ლავგარდანები შენარჩუნებულია მხოლოდ №14 სახლის ინტერიერში.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ობიექტი XIXს-ის დასასრულის სამსართულიანი სახლია, რომელიც არქიტექტურული ძეგლია. XXს-ის განმავლობაში მოხდა სახლის I სართულის ფასადის ღიობების ნაწილობრივად გადაკეთება და რემონტი.

სახეშეცვლილია ინტერიერის გეგმარებაც. ასევე ინტერიერში რამდენჯერმე ჩატარებული რემონტის შედეგად ნაკლებად არის შემორჩენილი თავდაპირველი არქიტექტურული ელემენტები. ამიტომ, ინტერიერში ახალი ფუნქციური მოთხოვნის შესაბამისად კერძო პირის მიერ შესაძლებელი უნდა იყოს რეკონსტრქცია და რემონტი. თუმცა, ნაგებობა წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს და მის „სხეულში“ ჩარევისას სიფრთხილეა საჭირო.

სასურველია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- შესაძლებელი ჩანს ინტერიერის ოთახების და სველი წერტილების მოდიფიცირება ახალი ფუნქციური დანიშნულებისათვის. ამავე დროს შესანარჩუნებელია თუ ინტერიერში გამოვლინდება მნიშვნელოვანი მხატვრულ-არქიტექტურული სახეები;

- შესაძლებელია ღიობების ამოშენებული ნაწილების ჩახსნა, თუმცა, მანამდე გასაკეთებელია ზონდაჟები და დასადგენია ღიობების თავდაპირველი გაბარიტები და ფორმები;

- ორთავე ნაგებობის ღიობების მასშტაბი, პროპორცია და მხატვრული სახე ალბათ უპრიანია მსგავსი იყოს;

- მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებული იყოს საფასადო ღიობების სტრუქტურა ეზოს მხრიდანაც, განსაკუთრებით არქიტექტურული ძეგლის №14 შენობის შემთხვევაში;

- მნიშვნელოვანია გაკეთდეს როგორც ფასადების, ასევე ინტერიერის ახალი მოცულობების ესკიზური მონახაზის ფოტომონტაჟი არსებული და საპროექტო სახის ერთი და იგივე რაკურსებიდან ჩვენებით;

- ასევე მნიშვნელოვანია შესასრულებელი სამუშაოს მაღალი ხარისხის დაცვა.

ხელოვნებათმცოდნე – ბ. ჭანიშვილი

22. 04. 2019წ.